ქ. თბილისი, ბნელი ჩიხი №7 -ში მდებარე შენობისა და მიმდებარე განაშენიანების მხატვრულ-არქიტექტურული ანალიზი

ქ. თბილისი

2016წ

ობიექტი, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს, მდებარეობს ქ. თბილისის ისტორიულ უბან – კალაში. თუმცა სანამ უშუალოდ ობიექტის მხატვრულ-არქიტექტურულ ღირებულებას განვსაზღვავთ, ვფიქრობთ საჭიროა უბნის ისტორიული და ურბანული ჩამოყალიბების მოკლე ექსკურსი.

ისტორიული ექსკურსი

უძველესი დროიდან თბილისი რამდენიმე განსაზღვრული უბნისაგან შედგებოდა. ქალაქის ძირითად ბირთვს ქმნიდა სწორედ კალა და ისნი, რომლის ფარგლებშიც ვითარდებოდა ძირითადი ქალაქი. ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: "ხოლო ტფილისი არს სამი ქალაქი: ტფილისი, კალა, ისნი. ჰყოფს მტკვარი კალას, ტფილისს და ისნს: კალას უდის ჩრდილოით-აღმოსავლეთ, ტფილისს – ჩრდილოით და ისნს დასავლით".



თბილისის პანორამა შარდენის წიგნიდან. 1671 წელი

მოგვიანებით, 1807-1808 წლებში რუსი მოგზაური, კლაპროტი იმასვე წერს: "ტფილისი განიყოფება სამ ნაწილად: საკუთრივ ტფილისი ანუ ძველი ქალაქი, სადაც ცხელი აბანოებია, მტკვრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, უმნიშვნელო მცხოვრებთა რიცხვით; კალა ანუ ციხე, პირველი ნაწილის ჩრდილოეთით და მდინარის დასავლეთით, ქალაქის ყველაზე უფრო დასახლებული ნაწილი;

დაბოლოს, გარეუბანი ისნი, რომელსაც ორი პირველი ნაწილისაგან ჰყოფს ერთადერთი ხიდი მდინარე მტკვარზე”

გვიანი ფეოდალური ხანის თბილისის წარმოსადგენად, წერილობითი ცნობებს გრაფიკული მასალაც ერთვის; მათ შორისაა ფრანგი მოგზაურის – შარდენის 1871 წლის ნახატი /იხ. ილ. 1/ და ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1735 წელს შედგენილი ქალაქის გეგმა /იხ. ილ. 3, 4/, რომელიც განსაკუთრებით მდიდარსა და მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის. გეგმაზე ნათლად ჩანს ქალაქის ხუროთმოძღვრული ღერძი – მტკვარი, რომლისკენაც იხსნება ქალაქის ადრევე ჩამოყალიბებული დომინანტები: მთის ფერდზე აღმართული ციტადელი, რომელსაც ვახუშტი მაღალ ციხეს უწოდებს, და მისგან მტკვრის მიმართულებით პარალელურად დაშვებული ციხის კედლები, რომლებიც ე.წ. დაბალ ციხეს შემოფარგლავენ. მის პირდაპირ, მეორე ნაპირზე გალავნით შემოსაზღვრული მეტეხის ტაძარი დგას. “დაბალი ციხის გარშემოა დაჯგუფებული ქალაქის უმთავრესი ნაწილები: მდინარის დაღმა – ე.წ. სეიდაბადი, აღმა, ე.ი. ჩრდილოეთით – კალა, ქალაქის უმთვარესი ნაწილი. თბილისის ცენტრი უკვე ჩრდილოეთისაკენ ინაცვლებს: სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შენობები – მეფის, დედოფლის, ბატონიშვილის სასახლეები, კათედრალი, ქარვასლები, მთავარი მოედნები, ეკლესიების უმეტესი ნაწილი – უკვე კალაშია” (ვ. ბერიძე). კალა ქალაქის ერთგვარი ცენტრი ხდება. “ეს ახალი ცენტრი მეფის მოედანია, რომელიც მას შემდეგ უნდა შექმნილიყო, რაც ციტადელი სპარსელთა გარნიზონს გადაეცა და მეფემ თავისი რეზიდენცია აქ გადმოიტანა” (ვ. ბერიძე). ამის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილთან ვკითხულობთ: “არამედ დაუტევა 89-ე მეფემან როსტომ, ჩამოზღუდა კალა ციხიდამ ხიდის ყურამდე და მისცა სპარსთა. მიერითგან უპყრავთ მათ; და თავისი თავისთვის სამეფოდ აღაშენა სიონსა და ანჩისხატს შუა სასახლე მტკვრის გარდაკიდებით, ყიზილბაშთა რიგისა”. მეფის სასახლის პირდაპირ მდებარეობდა ბაზარი, მოედნის (დღევანდელი ერეკლე II მოედანი) გარშემო იყო მაღაზიებიც; შესაბამისად, კალა ქალაქის სამეურნეო-საზოგადოებრივ ფუნქციასაც ითავსებდა და თავისებურ სავაჭრო ცენტრსაც წარმოადგენდა.



თბილისის გეგმა შედგენილი ვახუშტი ბაგრატიონის მიერ. 1735 წელი

კალას ქუჩების ქსელზე მკაფიო წარმოდგენას იძლევა XVIII საუკუნის ოთხმოციან წლებში და 1800 წელს შესრულებილი გეგმები. კალაში, მტკვრის პარალელურად მეტად მნიშვნელოვანი ქუჩათა სისტემა არსებობდა, რომელიც მთლიანად თბილისის ცენტრალურ "არტერიას" ქმნიდა და რომელიც ჯერ კიდევ V-VI საუკუნეებში ჩაისახა. იგი დღევანდელი შავთელის, ერეკლე II-სა და სიონის ქუჩის ხაზზე გადიოდა. ქალაქის ერთ-ერთი კარიბჭე – "წყლისკარი" ამ არტერიის ბოლოს მდებარეობდა, იქ, სადაც ვახუშტი ბატონიშვილი ე.წ. "ქვემო კარს" აღნიშნავს. (დროთა განმავლობაში "ქვემო კარი" კარგავს თავის მნიშვნელობას). ბატონის მოედანი ამ არტერიის ნაწილებს ფუნქციონალურად გამოყოფდა ერთმანეთისაგან. არტერიის ჩრდილოეთ მონაკვეთში, ანჩისხატისა და წყლისკარის ქუჩებზე, კათოლიკოსისა და ეპისკოპოსის ადგილსამყოფელი და სამეფო კარის სასახლეთა კომპლექსი განთავსდებოდა.

XIX ს-ის თბილისზე რამოდენიმე ისტორიული ცნობა მოიპოვება, რომელთა შორისაც ყველაზე მნიშვნელოვანია 1782, 1800, 1802 წლის გეგმები /იხ. ილ. 5, 6/. მათზე თბილისის ზრდის თანდათანობითი ტენდენციები შეიმჩნევა, თუმც ჯერ ისევ უცვლელი რჩება ქალაქის ძველი ცენტრი – კალა, სეიდაბადი, ისნი და ძველი თბილისის ადრინდელი დომინანტები: ნარიყალა და მეტეხი. კალა კვლავაც ინარჩუნებს იმ ფარგლებს, რომელიც საუკუნის წინ ჰქონდა: აღმოსავლეთით მას მტკვარი ჩაუდის, ჩრდილოეთით ამჟამინდელი ნ.

ბარათაშვილის ქუჩა, დასავლეთით ალ. პუშკინის ქუჩის, თავისუფლების მოედნისა და შ. დადიანის ქუჩის ხაზი სოლოლაკის ქედამდე, სამხრეთით კი თავად ქედი. კალას გალავანი ერტყა გარს, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში კი, მთაზე, აღმართული იყო ნარიყალა.



თბილისის გეგმა. 1800 წელი

XIX ს-ის ორმოციან-სამოციან წლების თბილისის გეგმაზე უკვე გარკვეული განსხვავება ჩნდება თბილისის ძველ და ახლ უბნებს შორის. კალა ვიწრო ქუჩების, ჩიხების, შესახვევების დახლართული, ქაოტური ქსელისაგან შედგება, მაშინ როდესაც ახალი უბნები მეტი რეგულარულობით გამოირჩევა და საცხოვრებელი ნაწილიც აქეთკენ ინაცვლებს; თუმც კალა მოსახლეობის ბურჟუაზიულ ნაწილს არ დაუთმია. მიწას აქ თბილისელები მემკვიდრეობით ღებულობენ, ან ყიდულობენ. ამდენად, კალა კვლავინდებურად რჩება ერთ-ერთ საცხოვრებელ რაიონად, ძირითადად, თბილისის იმ მკვიდრთათვის, რომელთაც ამ ტერიტორიაზე მამაპაპური სახლები და ადგილმამულები ჰქონდათ. იმავდროულად, კალა ძველებურად დედაქალაქის სავაჭრო-სახელოსნო ცენტრია, სადაც ათასგვარი სავაჭრო დაწესებულებაა თავმოყრილი: სახელოსნოები, დუქნები, ბაზრები, ქარვასლები.



ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის ქუჩათა ქსელის განვითარების ქრონოლოგია

უბნის ისტორიული ურბანული ქსოვილის განვითარება, ჯერ კიდევ შუასაუკუნეებიდან იღებს სათავეს, როდესაც ყალიბდება კალაუბნის საკმაოდ ქაოტური და უსისტემო ქუჩათა სტრუქტურა. მცირე ზომის ქუჩა, ჩიხები თუ გასასვლელები ქმნიან უბნის ძირითად გამომსახველობას და კოლორიტს.

ურბანული ქსოვილის გრდა, ცხადია უმნიშვნელოვანეს ფაქტორს გნაშენიანება თამაშობს, რომელიც XIX –ით თარიღდება. თუმცა ხშირ შემთხვევაში შენობები, უფრო ადრეულ ნაშთებზეა აგებული, რაც საკმაოდ ხშირად გვხდება ძველი სარდაფების სახით.

საპროექტო ობიექტი, სწორედ ასეთ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ადგილას მდებარეობს, რომელიც დატვირთული ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობით.

ბნელი ჩიხი, თბილისის ისტორიულ რუკებზე, ჯერ კიდევ 1800 წლის თბილისის რუკაზე ჩნდება, ცხადის სურათი მომდევნო პერიოდის გეგმებზეც არ იცვლება. 1903 წლის რუკაზე უკვე აღნიშნულია მისი სახელწოდება ბნელი ჩიხის სახით.

ბნელი ჩიხი, კ. აფხაზის ქუჩის პარალელურად მცირე ჩიხის სახით ყალიბდება, რომელთან მისასვლელიც ო. თუმანიანის ქუჩიდან ხდება.



ქ. თბილისის ისტორიული ნაგეგმები. 1800, 1903წწ

მცირე ზომის ჩიხი, ორმხრივი განაშენიანებით ხასიათდება, რომლის ძირითად ფასადსაც მიჯრით განთავსებული ნაგებობები და მათ შორის გაჩენილი მცირე ზომის სივრობრივი პაუზები შიდა ეზოები განაპირობებდა. სწორედ ეზოები განაპირობებს მხირე ზომის ჩიხის სივრცულ გააზრებას. რადგან ნაგებობებს შორის დარჩენილი სივრცეები “სუნთქვის” საშუალებას იძლევა და თითქოს ვიზულურად ზრდის კიდეც მას.



ქ. თბილისის საარქივო ფოტო. XIX ს-ის II ნახევარი.

საარქივო ფოტოზე, რომელიც XIX ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება, შესაძლებელია ჩვენი საკვლევი ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის იდენტიფიცირება. ჩიხს სამხრეთ მხარეს საკმაოდ მასშტაბური სინაგოგას შენობას ესაზღვრება, ხოლო ჩრდილოეთ მხარეს, მეზონინიანი სახლი, რომელიც ჩიხის ბოლო ნაგებობას წრმოადგენს. საბედნიეროდ ორივე საორიენტაციოდ აღებული ნაგებობა, შემორჩენილია. შენობებს შორის მოქცეულ მხირე ზომის ჩიხზე, სავარაუდოდ ორსართულიანი, ნაგებობები გვხვდება. განაშენიანება საკმაოდ მეჩხერია, რაც მცირე ზომის ეზო სივრცეების არსებობით არის განპირობებული. დაკვირვების შედეგად შესაძლებელია ჩიხის ბოლოს მჟამად არსებული რუსული პ-ს კონფიგურაციის შენობის ამოცნობა, ჩვენი საკვლევი ობიექტი, კი სწორედ მის წინ მდებრეობს. ჩვენი საპროექტო ტერიტორიის წინაპარი, ჩიხის საერთო განაშენიანებაში ჰარმონიულად განთავსებული ნაგებობაა, უაქცენტო პროპორცია მასშტაბით.

თუმცა XX ს-ის 90-იან წლებში ჩიხის სიმყუდროვე ერთგვარად ირღვევა, ჩვენი საპროქტო ტერიტორიაზე ძველი შენობის ნაცვლად ახალი საკმაოდ მასშტაბური ნაგებობის განთავსებით. სამწუხაროდ ახალმშენებლობამ სრულად გაანადგურა ძველი ნაგებობის კვალი. ვიზუალური დათვალიერების შედეგად არანაირი სიძველე არ იკითხება.

თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ, ობიექტი კულტურული მეხსიერებით დატვირთულ ტერიტორიაზე მდებარეობს, რომელზეც საკმაოდ დიდი კონცენტრაციაა კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლებით.



ქ. თბილისის კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთა რუკა

შენობის უშუალო სიახლოვეს, კ. აფხაზის ქ. №47-სა და 51-ში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები მდებარეობს. ო. თუმანიანის ქ. №14-ი რომელიც ეზოს ფასადით ჩიხზე გამოდის, ფონური, საკმაოდ საინტერესო კონსფიგურაციის ნაგებობაა. ჩიხზე გამომავალ სხვა ნაგებობეს სტატუსი არ გააჩნიათ, თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ, საინტერესო ურბანული სტრუქტურით ხასიათდება, რაც განაპირობებს ჩიხის არქიეტქტურულ თუ გეგმარებით მხარეს. მიუხედავად ნაგებობათა მძიმე ფიზიკური მდგომარეობისა, ჩიხის "ჰარმონია" ჩვენი საპროექტო ახალი ნაგებობით ირღვევა, რომელიც ერთგვარად ამოვარდნილია განაშენიანების საერთო სურათიდან.





ხედი ბნელ ჩიხზე

მიუხედავად იმისა, რომ საპროექტო შენობა კ. აფხაზის ქუჩის მხრიდან არ იხსნება, მას №49-ში მდებარე ნაგებობა ემიჯნება. სამსართულიანი შენობა მხოლოდ გვერდითა ფლიგელით გამოდის კ. აფხაზის ქუჩაზე. საკმაოდ დიდი ზომის შიდა ეზოში კი ძირითადი ფსადით იხსნება, მიუხედავად იმისა, რომ ნაგებობა ძლიერ სახეცვლილია, მისი თავდაპირველი კონფიგურაციის წაკითხვა შესაძლებელია, რომელიც მეტნაკლებად საარქივო ფოტოზეც ჩნდება. შენობა თავდაპირველად რუსული პ-ს კონფიგურაციის იყო, თუმცა უკანა ფლიგელი ამჟამად დანგრეულია (ფრაგმენტების სახით შემორჩენილია სახლის უკანა კედელი, ნიშებითა და ბუხრის ფრაგმენტით). სწორედ აღნიშნულ ეზოს ემიჯნება საპროექტო ობიექტი, ძველი შენობის კედელი მის ერთგვარ პედესტალს წარმოადგენს თითქოს.









კაფხაზის ქ. №49

ამდენად, როგორც ჩანს საპროექტო ობიექტი, ძალზედ სენსიტიურ და ისტორიული მეხსიერებით დატვირთულ ადგილას მდებარეობს. მიუხედავად ცალკეული სახეცვლილებებისა თუ ნაგებობათა საკმაოდ მძიმე ფიზიკური მდგომარეობისა, არსებული მიკროკვარტალი, კონკრეტულად კი ჩიხი, დღემდე ინარჩუნებს გამომსხველობასა და კოლორიტს, შესაბამისად ნებისმიერი სახის სამუშაო, მიმართული უნდა იყოს, სწორედ ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოს გათვალისწინებითა და პასტივისცემით.



ქ. თბილისის აეროფოტო. ფრაგმენტი

სრულიად ცხადია, რომ აღნიშნული ნაგებობა, თავისი მხატვრულ-არქიტექტურული სახით, ამოვარდნილია საერთო ხასაითიდან და რეკონსტრუქციას ითხოვს. შესაბამისად გასათვალისწინებელია ის ცალკეული მახასიათებლები, რაც კონკრეტულ ადგილსა და მიმდებარე განაშენიანებას გააჩნია, ვფიქრობთ გასათვალისწინებელია შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- სასურველია შენობის რეკონსტრუქციისას, მისი ძირითადი არქიტექტურული მხარე გადაწყდეს თანამედროვე პროექტით და არა ძველთან მისადაგებული ბუტაფორიული კიჩით;
- სარეკონსტრუქციო პროექტი უნდა იყოს სადა უაქცენტო, რომელიც ჰარმონიულდ ჩაეწერება განაშენიანებაში და არ შეიტანს დისონანს მასში;
- ვფიქრობთ დასამუშავებელია შენობის გადახურვა, და შესაცვლელია მისი კონფიგურაციაც;
- რეკონსტრუქციისას გასათვალისწინებელია ხედვის წერტილები თუ რაკურსები რაც ნაგებობაზე მოდის;
- ცხადია შესაძლებელია შენობის ფუქნციური ადაპტაცია, რომელიც სასურველია გახდეს პრეცენდენტი ჩიხის მოწესრიგების და მისი გააქტიურების.
- და ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონაში, რაც კანონით გათვალისწინებულ დაცვის განსაზღვრულ რეჟიმს გულისხმობს.

ხელოვნებათმცოდნე: თ. ღვინერია